ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3012/06

ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT210022355

CPV-42100000; 42130000

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2021 წელი

„შემსყიდველი“ - **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ზანდარაშვილის** სახით;
მისამართი: იურიდიული: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12, ფაქტიური: ქ. თბილისი, თემქა, მე-9 კვარტალი;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404482537
ტელეფონი: 2 200 122
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ა/ა GE58TB 7353 4360 8010 0004

„მიმწოდებელი“ - **შპს „არზო“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელმირა ისაევას** სახით.
მისამართი: იურ.: ქ. თბილისი, ზუგდიდის #3/88
საიდენტიფიკაციო კოდი: 402170850
ტელეფონი: 577181959
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი - BAGAGE22, ა/ა GE49BG 0000 0003 6599 3829

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს მიერ გამოცხადებული **NAT210022355** ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დანართი №1-ში აღნიშნული **<u>სათადარიგო დეტალების</u>** (შემდგომში - საქონელი) შემსყიდველისათვის საჭირო რაოდენობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ვადებში მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება.

1.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე.

1.3. საქონლის ფასი მითითებულია დანართ N1-ში და მოიცავს დანიშნულების ადგილამდე (ობიექტებამდე) ტრანსპორტირების ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

1.4. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 12 765 (თორმეტი ათას შვიდას სამოცდახუთი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით.

2. საქონლის შესაბამისობის შესახებ

მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ძირითადი მახასიათებლები და სხვა პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს „მიმწოდებლის“ მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

3. მხარეთა უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესახებ

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, მიღების მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი, რაოდენობა და გარეგანი იერსახე.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

3.4. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, კომპანიის კონტრაგენტების ვინაობა, სქემები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის.

3.5. „მიმწოდებელი“ ამ ხელშეკრულებით მოსაწოდებელ საქონელზე ავრცელებს გარანტიას საქონლის ფაქტობრივად მიღებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, შემდეგი პირობებით:

3.5.1. საგარანტიო პირობები მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტი არ დაზიანდება რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედებით.

3.5.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის მიერ დეფექტის/წუნის/ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში იგი უნდა შეკეთდეს ან/და შეიცვალოს ახლით, არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

3.5.3. „მიმწოდებელი“ საგარანტიო პირობებს არ ავრცელებს თუ საქონლის დაზიანება გამოწველულია „შემსყიდველის“ მიერ დაუდევრობით ან გაუფრთხილებლობით.

3.5.4. საგარანტიო პირობების შეუსრულებლობისთვის/არაჯეროვნად შესრულულებისთვის „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებელს“ დაარიცხოს საურავი 20 (ოცი) ლარის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

3.5.5. „მიმწოდებლის“ მიერ პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ შესასრულებელი ვალდებულებისაგან

3.5.6. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნება მწარმოებლის ოფიციალური გარანტია იგი ვალდებულია უშუამდგომლოს შემსყიდველ ორგანიზაციას მწარმოებელთან ზემოაღნიშნული პირობების დაცვით.

4. მიწოდებისა და დოკუმენტების შესახებ

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონელი „შემსყიდველს“ მიაწოდოს დანართი N1-ით გასნსაზღვრულ ვადაში და ადგილას.

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 18.00 სთ-ისა. 18.00 სთ-ის შემდეგ „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის მიღებაზე.

4.3. მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები (შემდგომში ზედნადები) ან/და ანგარიშ-ფაქტურა უნდა გაფორმდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.4. თუკი საქონლის მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტები შეცდომით, ან არასათანადო ფორმითაა გაფორმებული, „შემსყიდველი” ატყობინებს აღნიშნულის შესახებ „მიმწოდებელს”, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს მეორე დღისა მოახდინოს ახალი დოკუმენტების წარმოდგენა და ძველის გაუქმება/კორექტირება.

4.5. საქონლის ფაქტობრივი მიწოდება უნდა განხორციელდეს სასაქონლო ზედნადების გაფორმების დღეს.

4.6. „შემსყიდველი“-ს წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის გადმოტვირთვა ამისათვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას და დროს.

5. საქონლის მახასიათებლების შესახებ

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დოკუმენტებში (ზედნადები) მიუთითოს მისაწოდებელი საქონლის მახასიათებელი და ფასები წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

5.2. მიწოდებული საქონლის მახასიათებელი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მიწოდების დოკუმენტში დაფიქსირებულს.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღებისას, შემსყიდველი შეამოწმებს საქონლის რაოდენობის, მახასიათებლისა და ხარისხის შესაბამისობას წარდგენილ დოკუმენტებთან მიმართებაში. მიწოდებული საქონლის ღირებულებისა და მიღების ფაქტი ფიქსირდება და დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტებითა და შემსყიდველის

წარმომადგენლის ხელმოწერით ზედნადებზე ან/და ა/ფაქტურაზე ან/და მიღება-ჩაბარების აქტზე. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი და არ მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტს, თუკი საქონლის რაოდენობა და ხარისხი არ შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს.

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს კვების ორგანიზების და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსის და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფენ ფინანსური აღრიცხვის და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.4. მიმწორებლის უფლებამოსილებას საქონლის გადაცემასთან, შემოწმებასთან, ანგარიშსწორებასთან და მონაცემების შედარებასთან დაკავშირებით, ახორციელებს მიმწოდებლის უფლებამოსილი თანამშრომელი (დისტრიბუტორი, ვაიზერი, მენეჯერი, ბუღალტერი და სხვა).

6.5. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1. საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

7.2. ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი წესით: შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიწოდებული საქონლის ღირებულებას სრულად, ფაქტობრივად მიწოდებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. მიწოდებული საქონლის ღირებულების და ოდენობის სადაოდ გახდომის შემთხვევაში, ძირითად საანგარიშო დოკუმენტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება, „შემსყიდველის“ და „მიმწოდებელის“ ან მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შესახებ

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სახეობის, მახასიათებლის, შეფუთვის, ხარისხის, რაოდენობის, ტექნიკური მახასიათებლების, ფასის შესაბამისობის, შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების და მიწოდების ადგილის კონტროლს განახორციელებს შპს ,,სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა”-ს დირექტორის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი;

8.2. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

8.3. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი, მიმწოდებელს არ გადაუხდის მიწოდებული საქონლის ღირებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ასეთი გადაუხდელობა გრძელდება მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) სამუშო დღეზე მეტი ვადით, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს გადასახდელი ძირითადი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღეზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ განახორციელებს შესასყიდი საქონლის მოწოდებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა მოსაწოდებელი საქონლის 0.02%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. იმ შემთხვევაში თუ მოწოდებული საქონელს 12 თვის განმავლობაში აღმოაჩნდება რაიმე სახის დეფექტი, დაზიანდება ან იქნება ხელშეკრულებასთან შეუსაბამო, შემსყიდველი უფლებამოსილია მოთხოვოს მიმწოდებელს წუნდებული საქონლის შეკეთება ან/და თუ შეკეთებას არ ექვემდებარება შეიცვალოს ახლით, რაც უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში. აღნიშნული ვადის დარღვევა იწვევს რეკლამაციას 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

9.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია რეკლამაციაზე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, გამოასწოროს მასში მითითებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზები (მოთხოვნები), „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაღების გარეშე და გადაიხადოს დაკისრებული პირგასამტეხლო, ხოლო თუ რეკლამაციას მიიჩნევს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, შესაბამისი წერილობითი ფორმით აცნობოს „შემსყიდველს“ არაუგვიანეს რეკლამაციის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ პირს/ორგანოს (სპეციალისტი, ექსპერტი), წუნდების მიზეზების გამოსარკვევად. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

9.5. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლისთვის“ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშსწორებისას, „მიმწოდებელს“ გამოუქვითოს პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც ჩაითვლება „მიმწოდებლის“ მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდად.

9.6. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის/ შეუსრულებლობისთვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან თავისი ვალდებულებების არადროული შესრულებისათვის მთელი დროის განმავლობაში იმ გარემოებების გამო, რომლებიც წარმოიშობა მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად (დაუძლეველი ძალა). დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურებები, გადაულახავი ბუნებრივი მოვლენები, ომი და ა.შ. რაც დასტურდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

11.2. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველ ძალაზე, ვალდებულია წერილობითი ფორმით ან ინფორმაციის ელ-ფოსტის, ტელეფონის ან ფაქსის გაგზავნით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.3. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება აღნიშნული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

11.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 35 დღეზე მეტი ხნით, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, აღნიშნულის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2021 წლის 30 დეკემბრიდან** და მოქმედებს **2022 წლის 10 მარტის ჩათვლით.**

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

13.3. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

13.5. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

13.6. „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა “ხელშეკრულებით” (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.7. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

13.8. მხარეთა მიერ ელ.ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებას აქვს იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად. ელ.ფოსტაზე “შემსყიდველის“ მიერ წერილის/შეტყობინების მიღება უნდა დადასტურდეს ამავე ელ.ფოსტაზე შესაბამისი პასუხით.

13.9. „მიმწოდებელი“ ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ.

13.10. „მიმწოდებელი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

13.11. მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა არ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საერთო სასამართლოებს.

13.12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „მხარეთა“ მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ შედის ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად.

13.13. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ასევე ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

13.14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

14. მხარეები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს	**შპს „არზო“ -ს**
დირექტორი	დირექტორი
ალექსი ზანდარაშვილი	**ელმირა ისაევა**

LTD State Catering Service

N	საქონელის დასახელება/ ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	განზ.	რაოდ.	ერთეულის ფასი	ჯამი	გარანტია	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	პლასმასის სამკაპი 1/2	ჩინეთი	ცალი	200	0,50	100	1 წელი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 18.00 სთ-ის.	დაბა ვაზიანი
2	პლასმასის სამკაპი1/2 შიდა ხრახნით	ჩინეთი	ცალი	100	1,95	195			
3	პლასმასის სამკაპი 1/2 გარე ხრახნით	ჩინეთი	ცალი	100	3,00	300			
4	ლატუნის გადამყვანი 3/4 შიდა -1/2 გარე	ჩინეთი	ცალი	150	2,00	300			
5	ქვედა მიწოდების მილი 0,90მ(მოქნილი მილი, არმირებული, ლატუნის დაბოლოებებით)	ჩინეთი	ცალი	150	5,00	750			
6	ქვედა მიწოდების მილი 0,60 მ (მოქნილი მილი, არმირებული,ლატუნის დაბოლოებებით)	ჩინეთი	ცალი	150	4,00	600			
7	პლასმასის მუხლი 1/2 გარე ხრახნით	ჩინეთი	ცალი	100	2,00	200			
8	პლასტმასის მუფთა 1/2 გარე ხრახნით	ჩინეთი	ცალი	100	2,00	200			
9	პლასტმასის სამკაპი 3/4	ჩინეთი	ცალი	100	0,80	80			
10	გადამყვანი (ამერიკანკა) 32-იანი (წყვილში,ლატუნის)	ჩინეთი	ცალი	30	8,00	240			
11	ონკანი 2 დიუმი(ლატუნის)	ჩინეთი	ცალი	200	49,00	9800			
ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)						**12 765,00**			